



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
მორიგი სხდომის

№ 16

ქალაქი ბათუმი  
დეკემბერი

2019

წლის

25

11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

**მ ს შ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :**

- |                      |   |
|----------------------|---|
| თამაზ სალუქვაძე      | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;   |
| გოჩა მგელაძე         | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;                         |
| ირაკლი პატარიძე      | - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;  |
| ზურაბ ნაკაიძე        | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;                |
| დიმიტრი ჭეიშვილი     | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                   |
| თემურ კახიძე         | - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                     |
| ნატალია ზოიძე        | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;           |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; |

- ნატალია ძიძიგური - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე;
- ნერიმან ცინცაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე;
- რაულ თავართქილაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე;
- არჩილ მამულაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ანზორ დევაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე;
- დავით მახარაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე;
- მირდატ ქამადაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
- ნოდარ დუმბაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ელგუჯა ანდრიაძე - საკრებულოს წევრი;
- თამაზ დევაძე - საკრებულოს წევრი;
- ლევან ანთაძე - საკრებულოს წევრი;
- მუხამედ ართმელაძე - საკრებულოს წევრი;
- ომარ მახარაძე - საკრებულოს წევრი.

**არ ესწრებოდნენ:**

- ლაშა სირაბიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
- ირაკლი თოფურიძე - საკრებულოს წევრი;
- გელა დეკანაძე - საკრებულოს წევრი.

## სხდომას ესწრებოდნენ:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი - ლაშა კომახიძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი - ჯაბა ტულუში;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - სოფო ხალვაში;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კობინაძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;

შპს „სანდასუფთავებ“-ის დირექტორი - დავით დუმბაძე;

ა(ა)იპ „გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“-ს დირექტორი - დავით დიასამიძე;

ა(ა)იპ „ბათუმის სასაფლაოები“-ს დირექტორი ავთო ბურკაძე;

ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“-ს დირექტორი - ასლან გელაძე;

ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს დირექტორი - ჯუმბერ კობლაძე;

ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-ს დირექტორი სულხან ევგენიძე;

არასამთავრობო ორგანიზაცია - საზოგადოებრივი განვითარების აკადემიის თავმჯდომარე - რომან დოლაბერიძე;

საკრებულოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე - თეონა დიასამიძე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე, იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას, დამდეგი ახალი წელი მიულოცა, წარმატებები უსურვა და აღნიშნა, რომ დღეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია ოთხი სამართლებრივი აქტის პროექტი, მათ შორის ბათუმელებისთვის მნიშვნელოვანი „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრმა თემურ კახიძემ აღნიშნა, რომ სხდომაზე საკრებულოს რეგლამენტი მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული.

საკრებულოს წევრმა - ლევან ანთაძემ დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ფრაქცია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობა“-ს ექნება გარკვეული კითხვები, ხოლო შემდეგ ფრაქციის სახელით გააკეთებენ განცხადებას საკითხის კენჭისყრამდე.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს მიერ დამტკიცებული მოქმედი რეგლამენტის შესაბამისად და იურიდიული კონსულტაციის გათვალისწინებით განმარტა, რომ:

- საკრებულოს წევრს უფლება აქვს დასვას შეკითხვა ორჯერ, თითო წუთის ოდენობით და სიტყვით გამოვიდეს ერთხელ, სამი წუთის ოდენობით.

- ფრაქციას უფლება აქვს გამოთქვას თავისი მოსაზრება საკრებულოს მიერ ასარჩევი და დასანიშნი კანდიდატურების შესახებ, ხოლო სხვა საკითხებთან დაკავშირებით, ფრაქციის მიერ მოსაზრების გამოთქმა, რეგლამენტით არ არის განსაზღვრული.

აღნიშნულიდან გამომდინარე ფრაქცია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობა“-ს მოუწოდა რეგლამენტით განსაზღვრული უფლებამოსილებების გათვალისწინების თაობაზე.

ასევე აღნიშნა, რომ პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით დაცული იქნებოდა წინა წლებში განხორციელებული, როგორც მიღებული ფორმატი, კერძოდ: საკითხის მომხსენებელთან დასმულ ყველა შეკითხვას მომხსენებელი პასუხობს; მერთან დასმულ ყველა შეკითხვას ინიშნავს მერი და კითხვების ამოწურვის შემდეგ ყველა კითხვას გასცემს პასუხს; საკითხი დგება კენჭისყრაზე.

**სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:**

### **დღის წესრიგი :**

**საკითხი 1.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

**საკითხი 2.** „გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 30 ნოემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 3.** „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 22 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

**საკრებულოს თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე. მან საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.**

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ აღნიშნა, რამდენიმე დღის წინ ბათუმში მომხდარი ძალან ცუდი ფაქტის შესახებ. კერძოდ, ქუჩაში მიმავალმა მოქალაქემ გააჩერა საპატრულო პოლიციის მანქანა და პოლიციელს რამდენიმე მძიმე ჭრილობა მიაყენა. პოლიციელი სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში, ჩაუტარდა რთული ოპერაცია. დაჭრის მომენტიდან საოპერაციოში შეყვანამდე რიგითმა მოქალაქემ გაუწია პირველადი სამედიცინო დახმარება, სისხლდენის შეჩერების მიზნით. მედიკოსების მიერ აღინიშნა, რომ სისხლდენის შეჩერება, რომ არა, იყო ხიფათი იმისა, რომ პოლიციელი დაღუპულიყო.

სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ მის მიერ მოკვლევულ იქნა ინფორმაცია ამ პიროვნებაზე იმის შემდეგ, როცა ტელევიზიით ნახა ამ პიროვნების ინტერვიუ, სადაც ის ამბობდა, რომ არ არის გმირი და მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი ვალი. ეს პიროვნებაა 41 წლის რაულ თებიძე, რომელიც მოწვეულია და ესწრება საკრებულოს სხდომას. თითოეული ბათუმელის, მერიის, საკრებულოს სახელით უღრმესი მადლობა გადაუხადა და უსურვა წარმატებები.

საკრებულოს წევრმა - მუხამედ ართმელაძემ მადლობა გადაუხადა ბათუმის მკვიდრს, თავის სამაჟორიტარო უბანში მცხოვრებ მოქალაქეს - რაულ თებიძეს და მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გამოჩენისთვის მადლობის სიგელი გადასცა. ასევე მადლობა გადაუხადა კოლეგებს - მედიკოსებს, რომლებიც ყოველდღიურად აკეთებენ მაქსიმუმს, რომ ადამიანის სიცოცხლე იხსნან.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატიდან მიღებული შეტყობინება, რაულ თებიძის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გამოჩენისთვის აჭარის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 2000 (ორი ათასი) ლარის, ჯილდოს სახით ჩარიცხვის თაობაზე და მადლობა გადაუხადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას და მთავრობის თავმჯდომარეს - ბატონ თორნიკე რიჟვაძეს, საზოგადოების მიმართ გაწეული ზრუნვისთვის, მხარდაჭერისთვის, უმაღლესი მამულიშვილური გულისხმიერებისთვის, თანადგომისთვის და თანამემამულეთა ღვაწლის ღირსეული, სათანადო დაფასებისთვის.

საკრებულოს წევრი - არჩილ მამულაძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას, შეუერთდა აღნიშნულ მილოცვას და აღნიშნა, რომ მოინახულა პოლიციელი, რომელიც უკეთესად გრძნობს თავს. ასევე სამძიმარი გამოთქვა საქართველოში მომხდარ ბოლოდროინდელ ტრაგედიებთან დაკავშირებით. ასევე ისაუბრა ერთ-ერთი მოქალაქის მიერ წარმოდგენილი განცხადების თაობაზე. კერძოდ, წლების განმავლობაში, დაახლოებით 10 წლის წინ უნდა ჩაბარებულიყო მაღალსართულიანი შენობა მდებარე ჭავჭავაძისა და ყოფილი ტურგენევის ქუჩების კვეთაში, რომელიც არის ავარიულ მდგომარეობაში, მიუხედავად ამისა ამ შენობაში განთავსებულია როგორც შპს-ს სახით ორგანიზაცია და რამდენიმე მობინადრე. უბნის მაცხოვრებლები გაუსაძლის მდგომარეობაში არიან, თუმცა ბათუმის მერიისგან პასუხია, რომ ეს შეეხება კერძო ხასიათის სამართლებრივ ურთიერთობებს. მაგრამ რადგან აღნიშნულთან მიმართებაში არის მერიის ჩართულობა და პასუხისმგებლობაც, ამიტომ მერიისგან აუცილებელია მოხდეს მყისიერი რეაგირება. მოქალაქის განცხადება გადასცა საკრებულოს იურიდიულ სამსახურს და აღნიშნა, რომ პასუხის მიღების შემდეგ გააკეთებს რეაგირებას პასუხთან შეფარდებით.

ასევე აღნიშნა, რომ პარტიის ინტერესებიდან გამომდინარე კენჭისყრაში ვერ მიიღებდა მონაწილეობას.

საკრებულოს წევრმა - რაულ თავართქილაძემ დამსწრე საზოგადოებას დამდეგი ახალი წელი მიულოცა და აღნიშნა, რომ უერთდება პათოსს, როცა პოლიციელი ღირსეულად ასრულებს თავის მოვალეობას, მაღლიერებას იმსახურებს საზოგადოების მხრიდან, მაღლობას იმსახურებს რაულ თებიძე, რომელმაც თავისი მოქალაქეებრივი ვალი შეასრულა და ის დამხმარე პილიციელი, რომელმაც დააკავა დამნაშავე. ისაუბრა სახელმწიფო და ძალოვან სტრუქტურებში მომუშავე პერსონალის სამსახურებრივი მოვალეობის სირთულისა და სიმძიმის შესახებ და მაღლიერება გამოხატა მათ მიმართ. ასევე აღნიშნა ბათუმის სპორტის სასახლესთან დაკავშირებით, რომელიც დიდი ხანია არის აშენებული, თუმცა ვერ მოხერხდა მიღება-ჩაბარება და ქალაქში მაცხოვრებლები ვერ სარგებლობენ სასახლით. მიმართა თხოვნით, რომ უახლოეს პერიოდში აღნიშნული საკითხი მოსაგვარებელია. ასევე ხშირად ხდება გზების სხვადასხვა მონაკვეთში გადათხრა, გადაკვეთა, კომპანიები გულგრილად ეკიდებიან ამ საკითხს და გზები ისევ ამორტიზებული ხდება და ადვილად გამოდის მწყობრიდან. იმედი გამოთქვა, რომ სამომავლოდ შექმნილი ზედამხედველობის სამსახურები ასეთ საკითხებს მიაქცევენ სათანადო ყურადღებას. გზა, ინფრასტრუქტურა ტურისტულ ქალაქში მნიშვნელოვანია და მოწესრიგებული უნდა იყოს.

საკრებულოს წევრი - მირდატ ქამადაძე უერთდება მილოცვას, რაულ თებიძეს მაღლობა გადაუხადა მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისთვის, დაჭრილ პოლიციელს გამოჯანმრთელება უსურვა და აღნიშნა კრიმინალის აღმოფხვრის მიზნით ხელისუფლების მიერ ქმედითი ნაბიჯების გადადგმის თაობაზე. ასევე მიმართა სხდომის თავმჯდომარეს, რომ არ უსაუბრია ქართველი გმირი ექიმის - ვაჟა გაფრინდაშვილის შესახებ.

საკრებულოს წევრმა - ნერიმან ცინცაძემ აღნიშნა, რომ რაულ თებიძე არის გმირი, რომელმაც სიკვდილს გადაარჩინა პოლიციელი. მეორე გმირი კი, კოლეგა - ვაჟა გაფრინდაშვილია. უახლოეს დროში ყველანაირი მცდელობები იქნება იმ მიმართულებით, რომ დაუბრუნდეს თავის ოჯახს. მან ასევე მერიის ზედამხედველობის სამსახურს და სერვისცენტრების თანამშრომლებს მადლობა გადაუხადა ქალაქში გარე ვაჭრობის აღკვეთასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა - დავით მახარაძემ რაულ თებიძეს მადლობა გადაუხადა გმირობისთვის და პოლიციელს გამოჯანმრთელება უსურვა. მან ასევე მწუხარება გამოთქვა ლუკა სირაძის გარდაცვალების გამო და მიმართა ახალგაზრდებს, მომავალ თაობას, რომ ის ფრაზა რაც ლუკამ დაწერა არასოდეს გაიმეორონ, რადგან ცხოვრება მშვენიერია, სიყვარულია, სიცოცხლეა, ცხოვრება გრძელდება და მოუწოდა: არასოდეს საკუთარ თავთან არ ჩაიკეტოთ, პირიქით პრობლემაზე ყოველთვის ღიად თქვით მშობლებთან, უფროს თაობასთან, თქვენი ოჯახის გარეთ, თქვით ჩვენთან, ჩვენი სამუშაო ოათახები ყოველთვის ღია არის თქვენთვის, ნებისმიერი პრობლემის დროს შეგიძლიათ მოხვიდეთ და გვერდში დაგიდგებით, ოღონდ მსგავსი რამ არ გაიმეოროთ.

საკრებულოს წევრმა - ლევან ანთაძემ მადლობა გადაუხადა რაულ თებიძეს გმირობისთვის და მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ მომავალში ღირსების ორდენზე იქნეს წარდგენილი. ასევე მადლობა გადაუხადა პოლიციელებს, ბათუმის საზოგადოებას, რომლებიც შეიკრიბნენ და მხარდაჭერა გამოუცხადეს საოკუპაციო რეჟიმის უკანონო პატიმარს, ექიმს - ვაჟა გაფრინდაშვილს, რომელიც პროფესიული მოვალეობის შესრულებისას იქნა გატაცებული. ასევე აღნიშნა, ვაჟა გაფრინდაშვილის ოჯახისთვის ფინანსური დახმარების გაწევის თაობაზე, არა ბიუჯეტიდან, არამედ ერთობლივად, ყოველგვარი პოლიტიკური პარტიების სხვადასხვაობის გარეშე, თუნდაც ხელფასიდან გაღებული თანხის მეშვეობით.

საკრებულოს წევრმა - დიმიტრი ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ ვაჟა გაფრინდაშვილის მიმართ სოლიდარობა პირადად მას და მის კოლეგებსაც არაერთხელ დაუიფიქსირებიათ, რომ ის არის ნამდვილად გმირი და აკეთებს დიდ ქართულ საქმეს. ის დაეთანხმა ლევან ანთაძის ინიციატივას და გამოთქვა მოსაზრება მსგავსი აქტივობის დაგეგმვის მიზნით სხდომის შემდეგ შეკრების თაობაზე.

საკრებულოს წევრი - ირაკლი პატარიძე უერთდება ყველა პათოსს პოლიციელთან დაკავშირებით, იზიარებს ვაჟა გაფრინდაშვილის მდგომარეობას. ქალაქ ბათუმის მერს მიმართა, რომ ყინულის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე დარბაზი არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე, თუმცა საუბარია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროსათვის გადაცემაზე, რაზედაც დააფიქსირა თავისი აზრი, რომ არსებული დარბაზი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისთვის, რამეთუ მუნიციპალიტეტს აქვს სპორტული კლუბები, სადაც ბევრი ბავშვი ვარჯიშობს. გამომდინარე იქედან, რომ ბათუმი წვიმიანი ქალაქია, ზამთარში ძალიან ხშირად გუნდურ სახეობებში ბავშვებს უცდებთ ვარჯიში, ერთი ვარჯიშის გაცდენა ბევრი დანაკარგია ზოგადად სპორტსმენისთვის, რადგან სამი ან ხუთი ვარჯიში სჭირდება იმ ერთი ვარჯიშის გაცდენის ასანაზღაურებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელად მიაჩნია ყინულის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე დარბაზი დარჩეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბალანსზე და თხოვა სხდომის თავმჯდომარეს, აღნიშნული საკითხის პირად კონტროლზე აყვანა.

საკრებულოს წევრმა - ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ კმაყოფილია სოლიდარული და ერთსულოვანი საკრებულოს სხდომის გამო, მაღლობა გადაუხადა საკრებულოს ასეთი პოზიციისთვის, რომელსაც უნდა აფიქსირებდნენ და მათ მოსაზრებებს ასე კონსტრუქციულად უნდა გამოხატავდნენ.

მაღლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვინც გმირობა ჩაიდინა დაწყებული დღევანდელი სტუმრით დასრულებული ვაჟა გაფრინდაშვილით. ასევე აღნიშნა, რომ ისტორიამ დიდი ცივილიზაციები წაშალა, ისეთი პატარა ქვეყანაა საქართველო, რომ ისტორიიდან წაიშლებოდა საქართველოს ისტორია რომ არ იყოს გაჯერებული ასეთი მაგალითებით და საქართველოს ასეთი გმირები რომ არ ყოლოდა.

ასევე გულდაწყვეტით აღნიშნა იმ ტრაგედიების თაობაზე, რასაც ადგილი ქონდა 2019 წელში და ისაუბრა მომავალი თაობის კეთილდღეობის შექმნისათვის ზრუნვის ვალდებულებაზე, თითოეულ მოქალაქეს მიულოცა დამდეგი 2020 წელი, უსურვა ბედნიერება და წარმატებები.

ასევე ოპონენტებს მიმართა თხოვნით, დაენებებინათ თავი მაოხრებლის ფუნქციისათვის. მათი ქმედება შეადარა სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებს „მაოხრებელი გზირი“ და აღნიშნა, რომ ასეთმა ქმედებამ, პოზიციამ და დამოკიდებულებებმა ბუმერანგით უკან დაბრუნება იცის, მუდმივად ასეთ თემებზე ტირაჟირება დანაშაულის ტოლფასია, წიგნი არაა დაწერილი თქვენს ქმედებებზე, რომ აიკრძალოს ისე, როგორც მე-18 საუკუნეში იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ნაწარმოები „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“ აიკრძალა იმიტომ, რომ მასობრივი მკვლელობები გამოიწვია.

კვლავ თხოვნით მიმართა ოპონენტებს - დაენებებინათ თავი მაოხრებლის ფუნქციისათვის, ჩვეულებრივი, საქართველოს მოქალაქის ფუნქციით წარმომდგარიყვნენ, ყოფილიყვნენ კონსტრუქციულები და საერთო საქმე ერთობლივი ძალისხმევით გადაეწყვიტათ.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების და გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 171,630.6 ათას ლარს. გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლები შეადგენს 76,303.3 ათას ლარს. მათ შორის: ქონების გადასახადი - 28,500.0 ათასი ლარი. დამატებული ღირებულების გადასახადი - 47,803.3 ათასი ლარი. ფინანსური დახმარების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 34,000.0 ათასი ლარით: მათ შორის:



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერი - 34,000.0 ათასი ლარი;

- 2020 წლისთვის ადგილობრივი ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 47,327.3 ათასი ლარის ოდენობით;

- საკუთრებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5,827.3 ათასი ლარის ოდენობით. აქედან:

პროცენტების სახით დაგეგმილია 570.0 ათასი ლარის მობილიზება;

- დივიდენდები სახით დაგეგმილია 4,170.0 ათასი ლარის მობილიზება;

- რენტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1,070.0 ათასი ლარის ოდენობით.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 35,800.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

- ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 35,800.0 ათასი ლარის ოდენობით.

- ჯარიმებით, სანქციებითა და საურავებით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4,700.0 ათასი ლარის ოდენობით.

- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1000.0 ათასი ლარის ოდენობით.

- არაფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 14,000.0 ათასი ლარით.

- წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 171,630.6 ათას ლარს.

- ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 58.5% - 100,386.1 ათასი ლარი მოდის ხარჯებზე, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება - 23,573.0 ათასი ლარი; საქონელი და მომსახურება - 41,667.4 ათასი ლარი; პროცენტი - 5,610.7 ათასი ლარი; გრანტები - 25.5 ათასი ლარი; სუბსიდიები - 14,302.5 ათასი ლარი; სოციალური უზრუნველყოფა - 9,607.9 ათასი ლარი; სხვა ხარჯები - 5,599.1 ათასი ლარი;

- მთლიანი ასიგნებების 29.1% - 49,902.7 ათასი ლარი მოდის არაფინანსური აქტივების ზრდაზე (შეძენაზე).

- ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვალდებულებების (სესხის ძირი თანხის) დაფარვას 21,341.8 ათასი ლარი მოხმარდება, რაც მთლიანი ასიგნებების 12,4%-ია.

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსების გამოყოფას და ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქ.ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას (დანართი თან ერთვის).

## **ა ზ რ ი**

### **გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

საკრებულოს წევრმა - მირდატ ქამადაძემ განაცხადა, რომ სხდომის დასაწყისში იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოწოდება რას ნიშნავდა არ იცის რეგლამენტის დაცვასთან დაკავშირებით, საკრებულოს რეგლამენტის მიხედვით, ფრაქციას უფლება აქვს კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში გამოხატოს თავისი პოზიცია.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ დასვა კითხვა, რომ წინასაარჩევნო დაპირებებიდან ერთ-ერთი დაპირება იყო მოსახლეობასთან ქალაქის სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგება, ბოლო 2 წლის განმავლობაში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, შემცირდა მიკროავტობუსთა რაოდენობა, პირობებთან შედარება არაა, რა პირობებიც იყო, თუმცა ქალაქი მაინც გადატვირთულია, ასევე მიმდინარე წელს მერიას ჰქონდა გეგმა ბასლაინების დახაზვაზე და დაგეგმილია ავტოპარკის განახლება, ამ მიმართულებით რა იგეგმება და რა ვადებში. მეორე საკითხია - ბათუმი სასურველი და უსაფრთხო საცხოვრისი, მერიას ჰყავდა დაქირავებული ექსპერტთა ჯგუფი, რომლებმაც ავარიული სახლების შეფასება დაასრულა. ამ მიმართულებით საკრებულოსთვისაა ცნობილი, რომ მუშაობდით რამოდენიმე მიმართულებით პროგრამის საბოლოო შემუშავებაში და ამ მიმართულებით მერია რას ფიქრობს ვადასთან დაკავშირებით, რომ აღმოფხვრას. მესამე კითხვაა, რომ წინასაარჩევნო შეხვედრებზე და არჩევნების შემდგომ შეხვედრებზეც, რომელიც მერმა ტრადიციად აქცია ყოველი კვირის ორშაბათობით მოქალაქეებთან შეხვედრები, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მოქალაქეებში დახმარების მხრივ. დასვა საკითხები, რომელთა 75% გადაწყვეტილია, ხოლო დანარჩენი ასახულია 2020 წლის ბიუჯეტში. წინასაარჩევნო დაპირება იყო ჩაქვის მოსახლეობისთვის საბავშვო ბაღის მშენებლობის საკითხი, თუმცა ბიუჯეტში არ არის ასახული და რას ფიქრობს მერია ამ საკითხზე.

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ აღნიშნა, რომ მომხსენებლის გამოსვლაში მოისმინა ბაღების რეკონსტრუქციის თაობაზე, მაგრამ ვერ მოისმინა საბავშვო ბაღების აშენების შესახებ, მან დასვა შეკითხვა ბაღების მშენებლობის რაოდენობისა და ბაღის თანამშრომლების ხელფასების მომატებასთან დაკავშირებით, მან ასევე მიმართა მერს, რომ საღამოს საათებში გადამზიდი კომპანიების მიმართ განსაკუთრებული ყურადღებაა მისაქცევი, რომლებიც ავტოტრანსპორტით ემსახურება ადამიანების გადაყვანას. დღის 18.00 საათიდან ქალაქში საცობია.

საკრებულოს წევრმა - რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ თევზის ბაზარი მდებარეობს ქალაქის შემოსასვლელში, რომელიც ვიზიტორებისთვის მნიშვნელოვანი ადგილია. შესამუშავებელია გეგმა ადგილის მოსაწესრიგებლად. ასევე გამოთქვა უკმაყოფილება ქალაქში საცობების მდგომარეობასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა დავით მახარაძემ აღნიშნა, რომ გარე განათების მოვლა-პატრონობაზე დამატებულია 180

ათასი და ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანაზე კი 600 ათასი ლარი. დასვა შეკითხვა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტების გაკეთების შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, გარე განათებასთან დაკავშირებით, რომ ეს არ არის ახალი ქუჩები, ადმინისტრაციების მონაცემებით დასამატებელია სხვადასხვა ადგილებში წერტილები, ხოლო დასუფთავებასთან დაკავშირებით ჩადებულია ახალი რეაბილიტირებული ქუჩები, გაზრდილი პარამეტრების მიხედვით მოხდა ზრდა.

საკრებულოს წევრმა მუხამედ ართმელაძემ მადლობა გადაუხადა მერს 2019 წლის ბიუჯეტის შესრულებისთვის, პროექტების განხორციელებისთვის. მან ხაზი გაუსვა რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტს, კერძოდ, ქალაქის ახალი სიცოცხლე მიერთებულ ტერიტორიებზე, წყალანიერებისა და კანალიზაციის სისტემის დაფინანსება. მან დასვა შეკითხვა ქალაქის გენგეგმაზე გამოყოფილ თანხასთან და დამტკიცებასთან დაკავშირებით, ასევე ქალაქის ინკუბატორის თაობაზე დასვა კითხვა.

საკრებულოს წევრმა ირაკლი პატარიძემ აღნიშნა, რომ საარჩევნო დაპირება მოსახლეობის მხრიდან არის უპირველესი და მნიშვნელოვანი. თავის სამაჟორიტარო ოლქში იყო ძირითადი დაპირება: 1. ჟილინის არხის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია და სკვერის მოწყობა. 2. ინასარიძის ქ.№3-ის მიმდებარე ტერიტორიაზე სასეირნო სკვერის მოწყობა. მან მიმართა ამომრჩევლებს, რომ ინასარიძის ქ.№3-ის მიმდებარე დაგეგმილია და პროექტი შეძენილია სკვერის მოსაწყობად, რაც შეეხება ჟილინის არხს, კეთილმოწყობითი სამუშაოები ტელევიზიის მიერ არ გაშუქებულა.

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ დასვა შეკითხვა მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობასთან და ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ინვენტარიზაციის შესახებ კანონი იცვლება, მიმდინარეობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია, რომელმაც დაიწყო სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში ინვენტარიზაციის წარმოება, ქალქ ბათუმი დიდია ობიექტების რაოდენობით, მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკება და იმედოვნებს, რომ 2020 წლის დასაწყისიდან დაიწყონ.

საკრებულოს წევრმა ლევან ანთაძემ აღნიშნა, რომ მერს წინა წელს ჰქონდა დაპირება, რომ ქალაქს ექნებოდა გენერალური გეგმა, თუმცა ბიუჯეტის მიხედვით რეალური გეგმა 2020 წელს ვერ იქნება, თუმცა პარტია ქართული ოცნების 2013 წლიდან იყო დაპირება, რომე-

ლიც გააჟღერა. ასევე ქალაქის ეკონომიკური გაძლიერება და ბიზნესის ხელშეწყობის პრო-გრამის შესახებ, 2020 წლის ბიუჯეტით არ არის გაწერილი, მესამე წელია არ ჩანს, არც ბიზნეს ცენტრი და არც ბიზნეს ინკუბატორი. დასვა შეკითხვა სასაფლაოების გახსნასთან დაკავშირებით, როცა ბიუჯეტიდან 3 მილიონ 400 ათასია დახარჯული. ასევე შპს ავტოტრანსპორტი გაკოტრებულია და ფინანსურად სუბსიდირება ხდება, ეს უნდა გამოსწორდეს და მოგებაზე უნდა მუშაობდეს.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ 2020 წლის ბიუჯეტის პროექტს ახლდა განმარტებები, მაგრამ არ იყო გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივა ქალთა ფეხბურთთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა - გოჩა მგელაძემ მადლობა გადაუხადა მერიას, რომ გაითვალისწინა მისი გულისტკივილი და სვიშვესკის ქუჩა თავისი შესახვევებით აისახა ბიუჯეტში. მან დასვა შეკითხვა ბაქოს ქუჩა №74 - ის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიმიგურმა აღნიშნა, რომ გამოწვევები ბევრია, ქალაქი ცოცხალი ორგანიზმია და მუდმივ სამუშაო რეჟიმს ითვალისწინებს. აღნიშნული მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტში მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

საკრებულოს წევრმა თამაზ სალუქვაძემ აღნიშნა, რომ როგორც მაჟორიტარი, აქვს საარჩევნო დაპირება მოსახლეობასთან. მერიას და მერიის სამსახურებს მადლობა გადაუხადა შესრულებული სამუშაოებისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ ბარცხანის აუთვისებელი ტერიტორია, ნაგავსაყრელადაა ქცეული, რომელიც მოსახლეობისთვის შემაწუხებელია.

სხდომის თავმჯდომარემ გამოსვლის უფლება მისცა საკრებულოს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარეს თეონა დიასამიძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ უერთდება იმ მხარდაჭერას თანაგრძნობის გამომხატველ განცხადებას, რაც საკრებულოს წევრებმა გააკეთა. კატეგორიულად ეწინააღმდეგება განცხადებას მედიის კომპონენტში, რადგან მედიის მთავარი დანიშნულებაა რაც შეიძლება მწვავე და სიღრმისეულად წარმოაჩინოს ის გამოწვევები და პრობლემები, რაც მუნიციპალიტეტს და ქალაქს აქვს. ბიუჯეტის პროექტს რაც შეეხება ნოემბრის თვეში საკრებულოს ინიციატივითა და დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის მხარდაჭერით გაიმართა საჯარო განხილვა, ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები და ქალაქ ბათუმის ვიცე-მერი. პრობლემები დაისვა მოქალაქეების მხრიდან, რომლებიც წარმოადგენდნენ ადმინისტრაციულ ერთეულებს, აქედან ნაწილი 2020 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია, ნაწილი არა. კახაბრის, მახინჯა-

ურის დასახლება ითხოვს, რომ კეთილმოეწყოს სკვერები და შეიქმნას დამატებითი რეკრეაციული ზონები, სამწუხაროდ 2020 წლის ბიუჯეტში ეს პრიორიტეტები არ დგას. გარდა ამისა, მერის ექსკლუზიური უფლება-მოსილებაა ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია, თუმცა 2020 წლის ბიუჯეტში რამდენიმე დაწყებული ძეგლების დასრულების ხარჯებია გათვალისწინებული. სასურველია ქალაქმა გააგრძელოს მუშაობა დონორების საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის კომპონენტში. ასევე ქალაქმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ 2000-მდე ბავშვი არ დარჩეს საბავშვო ბაღის მიღმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტი გაიზარდა 13 მილიონ 776 ათასი ლარით, აქედან 2 სკვერი და ერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი მოხდა კორექტირებულ ბიუჯეტში. შემდგომ ეკონომიებისა და ფინანსური რესურსების მიმართულებით იქნება პრიორიტეტული და ასახული ბიუჯეტში.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა კომახიძემ საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი წელი იყო სავსე გამოწვევებით, მაგრამ ღირსეულად გაართვეს თავი. საახალწლო დღეების შემდეგ მოხსენებას გააკეთებს 2019 წლის ანგარიშის შესახებ, თუმცა ახლა ძირითად მნიშვნელოვან მომენტებს ჩამოთვლის, რომელიც 2019 წელს გაკეთდა, კერძოდ, ინსტიტუციური გაძლიერება ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსით, ელექტრონული მმართველობის შეფასებით, მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით მრჩეველთა საბჭო, ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, ბათუმმა 2017 წელს 15 ადგილიდან 2019 წელს თვითმმართველობის კუთხით გადმოინაცვლა პირველ ადგილზე. 92 კრიტერიუმი გულისხმობს მოქალაქეთა ჩართულობას, გამჭირვალობას, საჭირო ინფორმაციის მიწოდებას და ზოგადად ბევრ სხვა საკითხს, ბათუმმა მთელი საქართველოს მასშტაბით დაიკავა პირველი ადგილი, რითაც 2019 წლის განმავლობაში განხორციელებული ორგანიზაციული, სტრუქტურული, შინაარსობრივი ცვლილებები მუნიციპალიტეტში ფაქტიურად იყო სწორი, მოსახლეობასთან კომუნიკაციაშიც შესანიშნავი მაჩვენებელია, 14 ადმინისტრაციულ ერთეულში სამი შეხვედრა ჩატარდა და მასში მონაწილეობა მიიღო 800-მდე ადამიანი, აქედან 1500 საკითხი წამოიჭრა, რომელთა მოგვარება დიდი პროცენტული მაჩვენებლით შეძლო. საკითხების 70% მოგვარებულია. თუმცა არის საკითხები, რომელიც 2020 წლის ბიუჯეტითაა გათვალისწინებული. მოსახლეობასთან კომუნიკაცია აყვანილია უმაღლეს

კატეგორიაში. გარე ვაჭრობის პრობლემა მოგვარებულია, მაგრამ არის ერთეული შემთხვევები და ყურადღებას აქცევენ მონიტორინგისა და ზედამხედველობის თანამშრომლები, რომლებიც 24 საათიან მუშაობის რეჟიმში არიან. საქალაქო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის შესახებ აღნიშნა, რომ არასოდეს არ გაკეთებულა იმდენი რაოდენობის ქუჩა რომელიც გაკეთდა 2019 წელს. რაც შეეხება საბავშვო ბაღების მშენებლობას, ლერმონტოვის ქუჩა №96-ის მიმდებარედ მიმდინარეობს საბავშვო ბაღის მშენებლობა, ყოველ წელს ერთი საბავშვო ბაღი ემატება ქალაქს, თუმცა ემატება კომენტარიც, რომ 1000-1200 ბავშვი რჩება საბავშვო ბაღის მიღმა, მერია ვერ დაეწევა საბავშვო ბაღების მშენებლობით იმ მოთხოვნას, რომელიც არის საბავშვო ბაღებზე, იმიტომ რომ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ბავშვები ჰყავს კერძო ბაღებში და ახალი საბავშვო ბაღის აშენების შემდეგ ყოველთვის იქნება მსურველები კერძო ბაღიდან გადაიყვანონ საჯარო ბაღში, რადგან კარგი პირობებია კვების და ბავშვების მოვლის კუთხით. ჩაქვის მოსახლეობას მისცემს დაპირებას, რომ 2020 წელს დაიწყება ჩაქვის ბაღის მშენებლობა, აჭარის ეკონომიკის სამინისტროს ბალანსიდან დასრულდა მიწის გადაცემა ქალაქის მუნიციპალიტეტის ბალანსზე. ქალაქში ბევრი სკვერი გაკეთდა და ასევე 2020 წლის ბიუჯეტითაც გათვალისწინებულია. ასევე დაგეგმილია ქალაქის შემოსასვლელში ბენზეს ტერიტორიაზე სასტუმრო სანაპიროს მიმდებარედ სკვერის მოწყობა. ქალაქის კომუნალური მეურნეობის ამოქმედების შესახებ აღნიშნა, რომ დიდი ძალისხმევით საქართველოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით და აჭარის მთავრობის მხარდაჭერით ხელი მოეწერა შემოერთებული ტერიტორიის კომუნალური განვითარების პროექტს - ბათუმი ახალი სიცოცხლე 60 მილიონი ევრო ბიუჯეტით. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიდან ზუბალაშვილის ქუჩა №32-ში დასრულებულია პროექტი, დემეტრე თავდადებულის №35-ში მიმდინარეობს პროექტი, მან მადლობა გადაუხადა ქართუ ფონდს, ვინიდან ის დღეს ქალაქის ტერიტორიაზე ახორციელებს 10 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის პროექტის რეაბილიტაციას, უპრეცედენტო წელია ამ თვალსაზრისითაც. ბათუმის გამწვანების სამსახურმა ბათუმის გამწვანება გახადა სახალხო აქცია, ახალდარგულ ხეებზე მიკრულია ბირკები. სტიქიებსა და უბედურ შემთხვევებზე რეაგირების შესახებ აღნიშნა, რომ ახვლედიანის ქუჩაზე აფეთქების შედეგად დანგრეული სახლი აშენებულია, ეს მისთვის სიმბოლოა იმისა, რომელსაც თვითმმართველობა აკეთებს ადამიანებზე დახმარების რეაგირებას. გონიოში

დამაკავებელი გაბიონებისა და კედლების გამაგრებითა სამუშაოებმა ძალიან ბევრი ოჯახის ქონება გადაარჩინა. ქალაქში ახალი წლის მეორე კვარტალში ელოდებიან ელექტრონულ ავტობუსებს. ავარიულ სახლებთან დაკავშირებით პროგრამას იწყებენ 2020 წელს, რომელსაც ამ ეტაპზე არ სჭირდება ბიუჯეტში გათვალისწინება, ვინაიდან საწყის ეტაპზე დაიწყება ბათუმის საბინაო ფონდის მეშვეობით იმ ადამიანების დაკმაყოფილება, რომლებიც კრიტიკულად იმყოფებიან საშიშ მდგომარეობაში საცხოვრისიდან გამომდინარე. საბავშვო ბაღებში ხელფასები 2018 წელს გაიზარდა 30%-ით, 2020 წელს ემატება სპეცმასწავლებლების საშტატო ერთეული. მან გაზარდა სახელფასო ფონდი. ქალაქი მზადაა ზამთრისათვის. გენგემას, რაც შეეხება კოდექსში ცვლილების გამო, რომელიც მიმდინარე წლის 3 დეკემბერს შევიდა ძალაში, ამ ცვლილებასთან ერთად ბოლო დღეებამდე არ იცოდნენ მარეგულირებელი, თანმხლები აქტების საკითხი, რის გამოც ტექნიკური დავალება გააჩნიათ, რომელმაც გაიარა ყველა ეტაპი, უახლოეს სხდომაზე შემოსული იქნება საკრებულოში სხდომაზე განსახილველად. გონიოში საწარმო ბიზნეს ცენტრის გაკეთების მიზანია მოსახლეობის დასაქმება და ახალი სამუშაო ადგილების გაჩენა, ვინაიდან პროექტი გაჭიანურდა, რაც დაკავშირებულია მსხვილ მატერიალურ დანახარჯებთან, ეკონომიკის სამინისტროდან მერიას გადმოეცა გონიოს ტერიტორია, მოხდა ამ ტერიტორიის დაგეგმარება, დაპროექტება და დღევანდელი მდგომარეობით ეს ტერიტორია სრულად მზადაა იმისათვის, რომ დაიწყონ პროექტი და აქვთ კერძო კომპანიებისგან ინიციატივები, რომლითაც შეუდგებიან საქმიანობას. ჩაქვის სასაფლაოსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამხარაულის ექსპერტიზისთვის მიმართულია და მზადდება პროექტი, რომელმაც უნდა მისცეს საშუალება ამ საკითხის დასრულებისა. ბათუმის წყლისა და ავტოტრანსპორტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ განმარტა, რომ მერიის მიერ მაღალი ტარიფების დაწესების შემთხვევაში არ იქნება წამგებიანი ორგანიზაცია, მაგრამ საკრებულო არ მისცემს ტარიფის გაზრდაზე მხარდაჭერას და არც მერია, ასევე მერია მოწყვლად ჯგუფებს ეხმარება. ქალთა ფებურთის შექმნის შესახებ განაცხადა, რომ კანონით შეზღუდულები არიან ახალი კლუბების შექმნისგან, ამიტომ ამ კუთხით საკითხები არის გასარკვევი და ეს არის ამ შემთხვევაში ხელისშემშლელი. მიულოცა დამდეგი ახალი წელი და წარმატებები უსურვა საზოგადოებას.

საკრებულოს წევრმა - ლევან ანთაძემ აღნიშნა, რომ გარკვეულ კითხვებზე პასუხი მიიღო, ზოგიერთ კითხვაზე არა, თუნდაც შპს-თან დაკავშირებით, ტარიფი არ არის გადამწყვეტი. რაც შეეხება 2020 წლის ბიუჯეტს, არ განსხვავდება წინა წლების ბიუჯეტისგან. ბიუროკრატიულ ხარჯზე, მათ შორის ხელფასზე 4 მილიონ 200 ათასი ლარითაა გაზრდილი დანახარჯები. პრობლემად რჩება საბავშვო ბაღებში მდგომარეობა, უფასო სასაბავშვო ბაღებზე ერთჯერად კვებაზე ცოტა იხარჯება.

სხდომის თავმჯდომარემ ლევან ანთაძეს შეახსენა რეგლამენტის დროის ამოწურვის თაობაზე და პროტესტის ნიშნად დატოვა სხდომათა დარბაზი.

საკრებულოს წევრმა მირდატ ქამადაძემ ფრაქციის სახელით გააკეთა შეფასება და აღნიშნა, რომ ბიუჯეტით ფინანსდება საჯარო მოხელეები და სარედაქციო პოლიტიკაზე აკეთებენ განცხადებას, ამაზე, როგორც არჩეულმა მერმა შეფასება უნდა გააკეთოს. საცობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ახალი გზები უნდა გაიჭრას და განიტვირთოს უნდა. მან ასევე დატოვა სხდომათა დარბაზი.

ქალაქ ბათუმის მერმა განაცხადა, რომ ფრაქციის მიერ გამოხატული ქცევა შოუსთვისაა გამოყენებული.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის განხილვა მიმდინარეობს თვეზე მეტია, ერთხელაც კი ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არ დასწრებიან არც საკრებულოს კომისიის და არც ბიუროს სხდომებს.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილებების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდა - 3 (მ.ქამადაძე, ნ. დუმბაძე, ლ. ანთაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი: -1 (ა. მამულაძე)

**დასადაგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ცვლილებების გათვალისწინებით.**



**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 2. „გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 30 ნოემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი იქნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2019 წლის 01 აპრილის N GOC 3 19 0001207 კორესპონდენცია, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელდა „გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 30 ნოემბრის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის N7 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზა, რა დროსაც გამოვლენილი იქნა ძირითად აქტში - N36 დადგენილებაში სხვადასხვა სახის ხარვეზები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სამართლებრივი საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აუცილებელია, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის N GOC 3 19 0001207 კორესპონდენციის გათვალისწინებით, N36 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდა - 3(ნ. ზოიძე, ა. დევაძე, დ. ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი: -0

არ მიიღო მონაწილეობა - 1(ა. მამულაძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 3. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კობინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2019 წლის 11 ივლისს წარედგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს №01-01-10/3467 (№19085/25) წერილი, რომლითაც ქ.ბათუმში, ტაბიძის ქ. N40-ში (ს/კ 05.25.05.041) მდებარე საცხოვრებელ სახლში მაცხოვრებლების მიერ შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „იმედი“-ს 2019 წლის 27 ივნისის №01-01-09/4814 განცხადებიდან გამომდინარე გვაცნობებს, რომ მაცხოვრებლებზე საკუთრებაში არსებული ფართების (რომლებიც საკუთრებაში გადაეცათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2010 წლის 19 ივლისის N140 ბრძანებით, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, თითოეულს 1 (ერთ) ლარად) გადაცემის დროს არ იქნა გათვალისწინებული აღნიშნულ საცხოვრებელ ფართში განთავსებული დამხმარე ფართების (კიბის უჯრედი, სადარბაზო, სათავსო, სველი წერტილები) გადაცემა, რომელიც ფაქტიურ სარგებლობაში იყო იმ პერიოდისათვისაც. აღნიშნული ხარვეზის გამო ამხანაგობა რეალურად ვერ ახორციელებს გამართულ სამეურნეო საქმიანობას და საცხოვრებელი სახლების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას (მრავალბინიანი სახლის რეაბილიტაცია, ეზოს მოწესრიგება და ა. შ.). აღნიშნულიდან გამომდინარე, ბ.მ.ა. „იმედი“ ითხოვს ხარვეზის გამოსწორების და ამხანაგობის წევრების (91 ოჯახი) საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაეცეს: ა) ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. №40-ში მდებარე 264,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.25.05.233); ბ) ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ. №13ა/დასახლება მახვილაურის მეურნეობა/ტაბიძის ქ. №40-ში მდებარე 1065,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.25.05.235);

საკითხთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2019 წლის 17 დეკემბერს წარმოდგენილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის №2660/02 წერილი (№32148/25), რომელშიც მოყვანილია ზემოთაღნიშნული გარემოებები, საკითხთან დაკავშირებით განხორციელებული მიმოწერები და აღნიშნულია, რომ ვინაიდან მუნიციპალიტეტი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას შესაძლებლად მიაჩნია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოზიტიური პირობით (განკარგვის ფორმა, საფასური) საკუთრებაში გადაეცეს ზემოაღნიშნული ქონება, შემდგომში ბ.მ.ა. „იმედი“-სათვის

გადაცემის მიზნით და ითხოვს შემდგომი განკარგვის მიზნით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას პოზიტიური პირობით საკუთრებაში გადაეცეს ქ.ბათუმში, ტაბიძის ქ.№40-ში მდებარე 264,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.25.05.233) და ქალაქ ბათუმში, აღმაშენებლის ქ.№13ა/დასახლება მახვილასურის მეურნეობა/ტაბიძის ქ.№40-ში მდებარე 1065,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.25.05.235);

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს ზემოთაღნიშნული უძრავი ქონებების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას, შემდგომში ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. N40-ში (ს/კ 05.25.05.041) მდებარე საცხოვრებელ სახლში მაცხოვრებლების მიერ შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „იმედი“-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად გადაცემის მიზნით.

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა - 3 (ნ. ზოიძე, ა. დევაძე, დ. ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 1(ა. მამულაძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიზეზია ქალაქ ბათუმში, თამარის დასახლება, თამარ მეფის გამზირზე მდებარე მიწის ნაკვეთზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. პროექტის მიზანია მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა. ტერიტორია მდებარეობს საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-ში, დაგეგმილი მშენებლობა ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას და სტრატეგიული მნიშვნელობისაა მიმდებარე ტერიტორიისთვის. განმცხადებელია შპს „ბათუმის ცენტრალი“.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა - 3 (ა. მამულაძე, ა. დევაძე, დ. ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19  
წინააღმდეგი: -0

**დასადაგინეს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი  
განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თებიძე

სხდომის მდივანი:

მზევინარ წულუკიძე